

1993/2

11-12 1993

ISSN 0132-6015

ქართული
ბიბლიოთეკა

თიანთი

ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის ყურნალო

კლავატი ჯ. ლოლუასი



ნიაზეი მქვია სახელად, სამოცდაათის შევხრულდი,
და, ბასრი ჩანგლის გარეშე, არ მიცხოვრია მე წუთიც!
ვიშვი თბილისში, მტკვრის პირას, ოცდასამი წლის სამ
იენისს.
ვარ ჩემი წინამორბედი „ყუმბარის“ წარმოგზავნილი!
ქართული ქუდი მახურავს, მშვენის ქართული ნაბადი!

მე ხვითქი მქვია ქართულად, ვიბრძვი და ხვითქი
გადამდის!..
სატირის ცხარე პილბილით და იუმორის მარილით
ვიკვებები და ვაყოლებ მტკვრის წყალს ნილოსის
წვალივით!

გაგრძელება მე-3 გვ.

ნიანგი



კვირა 3 ივნისი

№ 1.

ამ სათაურით დაიბეჭდა ჟურნალის პირველი ნომრის პირველივე სარედაქციო წერილი 70 წლის წინათ. 70 წლის შემდეგ კი იმავე სათაურით გვიანდა ვაგაცნოთ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი ჟურნალის ანი და ჰაე. „ცნობილია, რომ ქართველ ხალხს სუბრობა მეტათ ეხერხება და უყვარს“. — ამ მარტივი წინადადებით იწყებს 1923 წლის 3 ივნისის თავის რთულ მოღვაწეობას „ნიანგი“.

ახლა ორიოდე სიტყვა იმათ საყურადღებოდ, ვისაც რუსული „კროკოდილიდან“ თარგმნილი ჰგონია ჩვენი ჟურნალის სახელწოდება. აი, რას გვატყობინებს მაშინდელი მოწინავე წერილი: „ფეულაფერი მასალა მზათ იყო, გარდა ჟურნალის სახელწოდებისა. ერთი შეხედვით, თითქოს ეს უბრალო გარემოება — მეტათ რთული და თავსახეთქი საქმე გამოდგა.“

სარედაქციო კოლეგია დიდხანს ფიქრობდა ჟურნალისთვის რაიმე ორიგინალური სახელის გამოგონებაზე, მაგრამ ამაოთ... სარედაქციო კოლეგიის წევრები დადიოლენ ჭკუიდან შექანებულსავით და თანაც თავისთვის რაღაცას ბუტბუტობდნენ“.

სწორედ ამ დროს ამუშავებულა ჩათახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა. საპატიო სტუმრებად ქარხნის გახსნის ზეიმზე მიუწვევიათ იმდროინდელი უსახელო, მაგრამ სახუმარო ჟურნალის კოლეგიის წევრები. წარმოების დათვალეირების დროს, ერთ მიერუებულ მდაროში, სილიბისტრო თოდრია თავს წასდგომია ნიანგს. „კურდღლებზე და გარეულ ბატ-ქათმებზე ნადირობას მიჩვეულს, ცოტა კი ეუცხოვა ასეთ არაჩვეულებრივ ცხოველთან პირისპირ შეყრა, მაგრამ მონადირის უსამზღვრო თავმოყვარეობამ უკან დახევის ნება არ მისცა. კოლეგიის სხვა წევრებიც წამოეხმარენ მას და შეიქნათ იმი ფიცხელი, რომლის დროსაც ნიანგი დამარცხდა იმიტომ, რომ ცუდი პოზიცია ეჭირა მდაროში შემწყვდეულს, ჩქარა ის იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო მისდამი წარდგენილ საზათ პირობებზე“.

დაიდო პირნათელი, წარუშლელი და გაუხუნარი ხელშეკრულება თავისი მუხლებით, ურთიერთგაგებით, ურთიერთშეთანხმებით.

„...როგორც არ შესრულებულა და არც შესრულდება არც ერთი აქტობადის დადებული ხელშეკრულებები“ — ასე უწინასწარმეტყველებიათ ჩვენს წინაპრებს.

ვაგაცნობთ ზოგიერთი მუხლის შინაარსს: ორ კვირაში ერთხელ ნიანგს ებღევა უფლება საქართველოს ყველა რეგიონში და ქალაქში გაისეირნოს, გაინაგარდოს, ვინც უნდა ვააციროს და ვინც უნდა აატიროს; „ამ დროს მას სრული უფლება აქვს, ვისაც უნდა, იმას უკბინოს, ან სრულებით შგახრამუნოს; ...ნიანგი ვალდებულია, რომ თავისი ნაგარდის დროს არაფერი აწყენინოს პატიოსან მუშას, გლეხს“.

დაბოლოს, ავტორი ამ წერილისა გვარწმუნებს, რომ „ნიანგი“, რომელიც დღეს პირველად გამოდის, „ბევრს ცხარე ცრემლებით აატირებს, მაგრამ სამაგიეროთ ბევრსაც გულიანათ გააცინებს“.

მართლაც, გულიანად გაიცინებს კაცი, პირველივე ნომრის ყდაზე რომ წაიკითხავს — „შასი 150.000 მანეთი“. ხოლო მეორე ნომერზე კიდევ უფრო მეტს იცინებს: „შასი 200.000 მანეთი“.

ასე რომ, „ნიანგის“ პატივცემულო მკითხველო, დღევანდელი გასაცოდავებული, რაღაც 10000-ან 20000 კუპონი დიდად ნუ მოგეჩვენებათ მაშინდელ ფასთან შედარებით! ჯანსაღი სიცილი ბევრად ძვირი ღირს, თუკი ეს ჩვენს ჟურნალს მოეპოვება.

„ღმობი წამალზე უკეთესიაო!“ — გვიმტკიცებენ მეცნიერები. „სიცილი ძლიერი ანტიისტრესული ფაქტორია და დადებითად მოქმედებს მიმიკ ნერვულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზეც... მას დიდი ზნეობრივი სტიმულის ღირებულება აქვს და არა მარტო წმინდა ზნეობრივ, არამედ ეკონომიკურ ეფექტსაც იძლევა!“ — ასკვნიან ისინი.

დაუემატებ კოსმოსში ნამყოფი კაცის ერთ ჩინებულ ნათქვამს: „ნახევარი კაცია ის, ვისაც იუმორის გრძნობა არა აქვს“. ამიტომ ამ ნახევარ კაცს, სხვა თუ არა, იმის გრძნობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იუმორის გრძნობა არა აქვს! არ უნდა დაგვაიწყდეს და დღეშიადაც უნდა გვახსოვდეს, რომ სიცილი კაცს ჰკლავს კიდევ; იგი მძლავრი საბრძოლო იარაღია — მაცოცხლებელიცა და მომაკვლინებელიც!

დღეს, როდესაც თვით საქართველო არის უდიდესი შემოქმედება, როცა ხმა სიმართლისა შეუპოვრად უნდა გაისმოდეს, როცა მთელი ქართველი ხალხი აღმდგარი, რათა საქართველო იყოს ერთიანი და მასზე არ იბოვი-

ნოს უცხო ტომის ბინძურმა ფეხმა, განუზომელია ძალა მართალი, სახრესავით გასხეილი სიტყვისა და ეს სიტყვა, უბირველეს ყოვლისა, სატირისა და იუმორის ენით უნდა ითქვას.

ორიოდე სიტყვა „ნიანგის“ გაჭირვებაზეც მინდა ვთქვა: დაუდგა ასეთი ჟამი „ნიანგსაც“, რაც უსაშველო ინფლაციის შედეგი გახლავთ. ჰოდა, მივიდა გაჭირვებული „ნიანგი“ პარლამენტში, სთხოვა ბატონ ჯაბა იოსელიანს და ბატონ ვახტანგ გოგუაძეს დახმარება. საკმარისია განცხადებაზე დაწერილი რეზოლუციების მოტანა, რათა კიდევ ერთხელ გაგვიღმით, პატივცემულო მკითხველო: „საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრს ბ-ნ ფრიდონ ინჯიას. გთხოვთ დაეხმაროთ „ნიანგს“. სიცილი ახლა ყველაზე მეტად გვეჭირდება. ჯაბა იოსელიანი“. „ბატონ დემურ დვალისვილს. „ძალიან, ძალიან გთხოვთ გადავარჩინოთ სიცილი, სატირა და იუმორი. ვახტანგ

გოგუაძე“.
პატივცემულო მკითხველო! რასაც ახლა გეტყვით, იმასაც ჩვეულებრივ, შეიძლება თქვენი ირონიული დიმილი გამოეწვიოთ, მაგრამ ამჯერად გთხოვთ, სანდო სერიოზულად მიიღოთ: ყველა სხვა რეზოლუციისა და განცხადებით, ორივე ეს დავალება პირნათლად შესრულდა!

ეს იმასაც ნიშნავს, რომ „ნიანგი“ საქართველოში დღესაც უყვართ, დღესაც ანგარიშს უწევენ და მისი მხარდაჭერა ამ სიღუბნის დროს დიდ მამულიშვილურ საქმედ მიიჩნიათ!

ოლონდ ჯანსაღი სიყვარული ორმხრივია და „ნიანგიც“ თავს ვალდებულია თვის, დაუცხრომლად იღვაწოს თავისი ხალხის ტკივილების განკურნებისათვის.

20.2.75



„ვინც იუმორის ახსნასა“ და განმარტებას ეცდება, მას იუმორი არ ესმის!“ – ნუ გაგაცინებთ ეს მცნება! ზუმრობის გრძნობა ოდითგან მოსდგამს ჩემს ღვთიურ ქართველ ხალხს, ის ყველგან აფრქვევს, ასხივებს იუმორს ბრძნულს და ნათელსა!

ვუმსუბუქებდი სამშობლოს ბრძოლის და შრომის სიმძიმის, ღმილით ვახალისებდი და ვამხნევებდი სიცილით! ერთეულ მოძრაობაში ჩემი მახვილით ჩავები და გაეშავე სუფიერა, ვინც იყო გასაშავები! სიმართლის თქმისთვის მრავალჯერ მომთხარეს ლანძღვის ნიაღვრით, შემავიწროვეს და, ლამის, ხვლიკად მაქციეს ნიანგი... ნაკლი ჯე: კიდევ ბევრი მაქვს და ვცდილობ, გამოვასწორო!

ნუ ჩამომარმევთ ტრაბახად, – შემართული ვარ საბრძოლოდ!
ავს ავი უნდა ვუწოდო და არსაქები არ ვაქო, მოყვარეს პირში ვუძრახო, მტერი დავმეხო, დავლაზვრო! ვარსებობდი და ვარსებობ ჩვენი მწერლობით ქართულით და მყავდნენ რედაქტორებად მწერლები სახელგანთქმული! ბევრი ცნობილი მხატვარი, პროზაიკოსი, მგოსანი, – ვინც მხატვრად და მამკობდა, – დღეს აღარ არის ცოცხალი!..

სუფიერას დიდი სიბოთით და სიყვარულით ვიგონებ, რელიკვიებად ვინ: ჯავ მათ ნახატებს და სტრიქონებს. ბრწყინვალე სატირიკოსი, იუმორისტი ბევრი მყავს და მყავს ასევე ბრწყინვალე მხატვართა მთელი ელიტა! ვაქვევებ უცხოელების სატირასა და იუმორს! –

მათი მახვილი სიტყვითაც და ნახატითაც ვმზიურობ!
ვიღებ მშრომელთა წერილებს – თხოვნას, ვედრებას, საჩივარს!..
ზოგს ვეხმარები მაშინვე, ზოგის წინაშე ვალში ვარ!
კარს ფართოდ ვუღებ ყოველთვის, ვიზიდავ სახლგაზრდობას,
ნიჭიერს ვებეჭდავ! უნიჭოს ვუხდი ბოდიშს და... მადლობას!


ღირსეულ იუბილარებს რომ ვაწყვინო, არ მინდა, და მათზე „ვლადომ ენითა წყლიანად მოუბართათა“!
„ამაო კარგი ღაღობა, ღაღსა შე-ვე-იქმს ღაღებად“ და გაცილებით სჯობია ღაღობა-გინება-მაგებას! საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალმა ჟურნალ-გაზეთმა ბევრჯერ ხელგაშლით მისტუმრა, მთარგმნა, გვერდგაშლით დამბეჭდა! დღეს „მზე არ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“, გამართული გვაქვს ურთიერთ რბევის და ხოცვის მარულა!..

თუმცადა, მიჭირს ძალიან, ჩავარდნილი ვარ შავ დღეში, – ვეცდები რომ შევასრულო ნოდარ დუმბაძის ანდერძი: „შენ, ჩემო ჭირისუფალო, ჩემო გამზრდელი ძიძაო, ჩემსავით არკის უყვარხარ, – თუ ვინდა, – დაგენიძლავო! გილოცავ, თანაც გისურვებ, – არ გაგცვეთოდეს კბილით! იცოცხლე, ვიდრე ამქვეყნად თაღლითი გამოილიოს!“ ჩვენს შინაურ მტერს სუფიერას ვახსენებ ნათქვამს უბრძნესსა:

„გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდებსა – შენს ზურგის მისაყუდებსა!“
დასასრულ ამას ვისურვებ: მალე მოგვეგოს ეს ომი, მალე დასმოდეს წერტილი ხეპარატისტთა მსეცობებს, მალე აგვიხდეს სიტყვები რუსთველის ავთანდილისა: „აწ რაღდა გემართებს ტირილი, ხამს დავსხდეთ ქმნად დიმილისად!“
ზაურ ბოლქვაძე

საქართველოს მრეწველობის

— მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალთ!..
— შორს წასვლა არც მინდა, პატივცემულო, აქვე
დამტოვეთ, თქვენთან!



წახ. ჯ. ლოლუაშვილი

მოგზაურება—უფასოდ!

ტურისტულ-პატრიოტული ფირმა „მიწის ყვილი“ უდლოარო, უმანეთო და უკუპონო ქართველ მა-
მაკაცებს არაბთა გაერთიანებული ემირატების, ინდოეთის,
პაკისტანის, ჩინეთის, თურქეთისა და აღმოსავლეთის სხვა
ქვეყნების ნაცვლად, სადაც მთელმა ფულიანმა საქართვე-
ლომ იმოგზაურა და სარფიანად გაასაღა იქიდან ჩამო-
ზიდული ვიდეო-აუდიო და ფართო მოხმარების სხვა სა-
ქონელი, გეპატიყვებთ ახალი, განუმეორებელი, უმაღლესი
კლასის მარშრუტით აფხაზეთში!

თქვენ მოგეცემათ უნიკალური შესაძლებლობა, ორი-
გინალურად გაატაროთ დრო შავი ზღვის გადაბუგულ სანა-
პიროზე, მშვიდად და აუღელვებლად მიაფიცხოთ საკუ-
თარი სხეულის ნებისმიერი ნაწილი ერთი პარლამენტარ-
ივით გაბადრულ თაკარა მზეს და გაიკაყოთ შერყეული
ჯანმრთელობა საქვეყნოდ ცნობილ პლაჟებზე.

მზის მაცოცხლებელი აბაზანების შემდეგ თქვენ გე-
ლით სასიამოვნო სივრცეებში ჭურვებით გადასხებილი პა-
ლმების მოკლე ჩრდილში და გონებრივი ჰორიზონტის გა-
მაფართოებელი ექსკურსია ყოფილ კურორტ-მარგალი-
ტებზე, რომლებიც, ცივილიზებული იუგოსლავიისა და
ლიბანის მოდელის მიხედვით, რეკონსტრუირებულია უა-
ზღესი ტიპის მუზეუმებად ღია ცის ქვეშ. აქ უფასოდ და-
გათვალისწინებენ და უანგაროდ გაგაცნობენ რუსეთის
არმიის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის „დაცვის“ თა-

ნამედროვე ნიმუშებს და სტრატეგიულ-ტაქტიკური გამო-
ცდილების კონკრეტულ ფაქტებს!

საქმეში გარკვეული გიდეები წარგიძღვებიან გადამწვა-
რი ქალაქებისა და სოფლების, დაბების, აფეთქებული ხი-
დების და ანძების მოსანახულებელ საგანგებო მარშრუ-
ტებში!

მწვავე შეგრძნებათა მსურველებს ასევე სრულიად უსა-
სყიდლოდ მოგეცემათ საშუალება მოითხოვოთ „ცეცხლი
საკუთარ თავზე“ — დაუკავშირდეთ გუდაუთაში განლაგე-
ბული რუსეთის ჯარის ნაწილების სარდლობას და აც-
ნობით თქვენი ზუსტი კოორდინატები! თქვენს თხოვნას
დაუყოვნებლივ გამოეხმაურებან და „გრადის“ ჭურვების
აფეთქებით მიღებული დაუვიწყარი სიამოვნება სიცოც-
ხლის ბოლომდე გაგყვებათ!

თქვენივე ინიციატივით შესძლებთ დაიკმაყოფილოთ
გუდაუთაში, გაგრასა და ლესელიძეში შტურმით შესვლის
სურვილი!

მოგმართავთ ყველა მსურველს, განსაკუთრებით კი თბი-
ლისის მეტროს სადგურებთან („რუსთაველი“ და „თავი-
სუფლების მოედანი“) ჩაცუცქულ მამრობითი სქესის არა-
თბილისელ ახალგაზრდებს: იჩქარეთ — უფასოა, საინტე-
რესო და პრესტიჟული! ასეთ საინტერესო და პიკანტურ
პოზაში სხდომით ემანდ რამე მარცხი არ დაგეპართოთ!

ჯერ კიდევ გაქვთ შანსი!

**ტურისტულ-პატრიოტული ფირმა „მიწის ყვილის“
დავალებით შაშა მახარაშვილი, ალთა ბალთაძე.**

რალაც მთავარი

დავკარგეთ!

ჩვენი სტანა ბაღნიერი,
ბანა, არის საღმე ვარი?
ილია

(„ნიანგის“ საიუბილეოდ მიტყვამს)

ჩვენი ყოველი ავ-კარგი
მუდამ იცოდი, „ნიანგო“,
რალაც მთავარი დავკარგეთ,
იქნებ, შენ მაინც მიაგნო?!

სხვის თვალში ბეწვის შაქბართ
დაგვიფართოვდა დირენი,
სრულ ტკუაზე და ჭანზე ვართ,
რაც უფრო გადავირევიო!..

მოყვასი გვიყვარს: მივწვდებით
უშწეოს, თუნდაც ჩუბინებს! —
მტერი არ გვიყვარს, თვის ნებით
თავს რომ არ დაგვახრჩობინებს!

„ცილი არ სწამო!“ — სხვის მცნება
გვგონია ცილისმწამებლებს,
გვიკვირს, ჭანი რომ იცლება,
თუ საწამლავეთ წამლობენ!..

ვითომ გზას ვეძებთ და ხე-ტყით
სახე გვსურს, დავცეთ ურემი!..
„არა იპარო!“ — მსხვერპლს ვეტყვიოთ,
ჭიბეში მოფათურენი!..

ზოგი შადლს თვითონ მოცილდა,
ვინც არ მოცილდა, გავყარეთ!
„არ იმრუშოო!“ — ვკაცნით და
ვმოძღვრავთ საკუთარ საყვარლებს!..



„არა კაც კლაო!“ — არ ვჩემობთ
ამ გზას, თუნდ ყველა ამოწყდეს!
მაშინდა გვახსოვს, თავს ზემოთ
თუ ვხედავთ მახვილს ამოწვდილს!..

წავბილწეთ ზღვა და მიწანი,
წვრები, ბალახი სათივე,
ათივე მცნება „ვიწამეთ“,
რომ დავგერდვია ათივე!..

ჩვენი ყოველი ავ-კარგი
მუდამ იცოდი, „ნიანგო“,
რალაც მთავარი დავკარგეთ,
იქნებ, შენ მაინც მიაგნო?!

საკვიპიპიპი

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ



ნახ. მ. აბაშიძისა

— ა, ეს თოფი წაიღე, ბაზარი სახევა ყაჩაღებით!..



ნოდარ დუმბაძის დაბადების 65 წლისთავი

შავოღაოვის სალაოვაი ნოდარ დუმბაძის დაბადების 65 წლისთავი

მართალია, ნოდარ დუმბაძის ძირითადი სააკაკო სოფელი ხიდისთავი იყო გურიაში, მისი შემოქმედების ფრთებიც იქ გაიშალა, მაგრამ ხონიც იყო ის მყარი ნიადაგი, რომელშიც ფესვები აქვთ გადგმული მის პერსონაჟებს. ხონი ნოდარის დედუღეთი იყო. ბებიაპისი (დედის დედა) იულიანა ბახტაძე რაიონის ცენტრიდან ერთი კილომეტრის დაცილებით ცხოვრობდა (ყოფილი ჩელიუსკინელების, ამჟამად წივწივადის ქუჩა № 31-ში) ბებიას თავიდანვე შრომისმოყვარე და შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ეს კარგად ეტყობოდა მის ეზოს, საცხოვრებელი სახლის იერსახეს, ამიტომ იყო, რომ ზაფხულობით, განსაკუთრებით თბის წლებში, იულიანას ოჯახში თავს იყრიდნენ მისი შვილები, შვილიშვილები და ოჯახის ახლო ნათესაები, რომელთა შორის ახალგაზრდობა ჭარბობდა. ოჯახში ასეთი ხალხმრავლობა, ბუნებრივია, ნოდარს პირობებს უქმნიდა ეაზროვნა, ეფიქრა და თავისი ნააზრევ-ნაფიქრალი ქაღალდზე გადაეჭანა.

როცა რომელიმე მშობლიური კუთხე დიდ, გამოჩენილ ადამიანს აღზრდის, მის შესახებ მისმა თანამედროვეებმა ბავშვობისა და ახალგაზრდობის დროინდელი ბევრი ამბავი იციან.

კარგი ხონის ძიება

1966 წლის ნოემბერში ხონში მოიწვიეს რაიონიდან წასული გამოჩენილი ადამიანები, მათ შორის იყო ნოდარ დუმბაძეც. სტუმრების ნაწილმა თავიანთ სოფლებს მიაშურა, ქალაქელები კი ქალაქში დარჩნენ და თავიანთ ახლობლებს მოესიყვარულნენ, სადამოს ყველამ ერთად მოიყარა თავი კულტურის სახლში, სადაც საზეიმო ნაწილი კონცერტმა შეცვალა, რომელშიც რაიონიდან წასული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები მონაწილეობდნენ.

ბოლოს, როგორც მაშინ იყო მოდაში და არც ახლამთლად დავიწყებული (ღმერთმაც ნუ ქნას მისი მთლად დავიწყება!), ბანკეტი გაიმართა. ბანკეტის მსვლელობის დროს ერთი მასპინძელი ნოდარს შეეკითხა:

— ბატონო ნოდარ, როგორ მოგწონთ, ხომ კარგი ღონისძიებაა?

— ღონისძიება თავისთავად კარგია და კარგადაც მიმდინარეობს, მაგრამ ამასთან ერთად კარგი ხონის ძიებაც რომაა, ამას მტკიცება არ უნდა! — თავისებური ღიმილიანი ხმით უპასუხა ნოდარმა.

სტუმარ-მასპინძლები

სიცოცხლის ბოლო წლებში ნოდარ დუმბაძე

უახლოეს მეგობრებთან ჯანსუღ ჩარკვიანთან, ზაურ ბოლქვაძესთან, მორის ფოცხიშვილთან, გიგლა ფირცხალავასთან და სხვებთან ერთად ხონის ზშირი სტუმარი იყო. ნოდარი დიდად განიცდიდა იმ სისარულს, რომელსაც რაიონის მშრომელები გამოსატავადნენ მასთან შეხვედრისას. ამ ადამიანების სტუმრობა განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულო იყო ნოდარის ბებია იულიანას დროინდელი ნათესავ-ახლობლებისათვის, კერძოდ, ლავრენტი და იოსებ ბახტაძეებისა და აწ განხვეწებული ალექსი ჭანტურიას ოჯახისათვის.

ალექსის მეუღლე ოლია იყო იმ საბედისწერო ამბების მოწმე, როდესაც ტროცკისტობის მოტივით 1937-38 წლებში დააპატიმრეს ნოდარის მშობლები. ყოველთვის გულისტკივილით განვიცდიდით ოლიას მიერ ნოდარის დედის, ქალბატონ ანიკოს, სიტყვების განხვნებას, რომელიც მას უთხრა ღამით მიმინარე ნოდარისთან განშორებისას: „აბა, ოლია, შენ იცი, ამ ბავშვებს როგორ მიმიხედავო!“ დედას ბავშვები ჩაუკონია და სამეულს გაპყოლია, დილით გაღვიძებულ ნოდარს დედა მოუკითხავს. „დედა წუხელის დააპატიმრეს და წაიყვანეს! შეიძლება დიდხანს არ დაბრუნდეს, არ შეგეშინდეს, მე აგერ ვარ!“ — უპასუხებია დეიდა ოლიას. ეს მომენტი ნოდარის მოხსენიებული აქვს თავის ერთ-ერთ რომანში.

— ამ დროს ნოდარი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — ივონებს ოლია დეიდა, — მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბავშვური მიაპიტობით წამოიძახა: „რა კარგია, რა კარგია, სოფელში წაველთ!“

არიქა, უშველეთ... „ნიანბს“!

მართლაც ამ ოს ნოდარის „დალაქ“ სოსო ბახტაძის ოჯახში გექონდა ვახშამი. ქეიფში შესულმა სტუმარ-მასპინძლებმა სიმღერას ცეკვაც მოაყოლეს, ჯერი გიგლა ფირცხალავაზე მიდგა, მანაც, დიდი ხეწუნის გარეშე, დააკმაყოფილა გამომწვევთა თხოვნა, ცეკვის დროს მოხერხებულად გაიხანდა პიჯაკი, გადააბრუნა სამკლავურები და ისე ჩაიცვა. ერთი წყვილი დანა-ჩანგალი პირში გაირჭო, ერთი წყვილი — ხელში დაიკავა და ხის კედელზე იმიტაცით „ასვლა“ დაიწყო.. ვინც არ ვიცოდით, ყველანი შეშინებულები მივჩერებოდით, რაც ნოდარმა კარგად შეამჩნია და მოკვამართა:

— არიქა, უშველეთ, ფირცხალავა კედლიდან არ ჩამოვარდეს, თორემ „ნიანგი“ მშიერი დარჩება!..

...ამოუწურავია მოგონებები, რომელთაც ინახავს ხონი, ნოდარის დედუღეთი რომ ჰქვია. გვიკვირს კიდევ, რა უჩემრად მოსულა ნოდარის დაბადების 65 წლისთავი!

გურამ ბახტაძე
(ქ. ხონი)

ეს ქვეყანა ნარდი არის!..




ეს ქვეყანა, ასე დიდი,
ჩვენი წუთისოფელია,
ზოგი — მოდიხ,
ზოგი — მიდიხ —
ოტელოც და ოფელიაც,
ყვარყვარეც და ზურიკელაც,
ფიროსმანიც,
ხანჩო პანსაც!..
იმ ცხოვრებით ვცხოვრობთ ყველა,
კამათლებსაც როგორს დავსვამთ!
ვცხოვრობთ ყველა ჩვენეული
რწმენით,
ჟინით,
ხენით,
გარჯით!..
ზოგი ბედით ცას შეუვლის,
ზოგსაც ბედი თავად დასჯის.
ზოგი დადრს კაბათხელით,
ზოგი შარვლიას ფაშფაშშია,
რაც მოგივა კამათლები, —
ნარდის იხე თამაშია.

ზოგთან შაში მოვარდება,
ზოგი დუსაც ვერ მიაგნებს!..
ვინც როგორი მონარდეა, —
თვის ცხოვრებას ისე აგებს!
ზოგი ცხოვრობს ყაჩაღობით,
ზოგი — ქრთამით,
ზოგი — ქლეხით,
ზოგი — მუშტით,
ზოგი — მგლობით,
ზოგი — სცენით,
ზოგი — ლექსით.
ზოგი ცხოვრობს თავაგდებით,
ზოგი ცხოვრობს პატიოსნად,
ვყალიბდებით კამათლებით
ქურდად,
მკვლელად,
მეხრედ,
მგოსნად!..
საქმე მუდამ მოვარდება,
კამათლებთან თუ ფლობ კავშირს!
„რა ჰქნას კარგმა მონარდემა,

თუ არ მოვა დროზე შაში?!“
ყველა იბრძვის თავდადებით,
ყველა თავის ფიქრებს ისევს
და გორდება კამათლებიც,
ვისაც როგორ მოსდის, ისე!..
ბედი იცის კამათლებმა
სიმჩატი თუ სიმძიმითა,
ზოგი კვდება სიცილითა!..
ზოგი ცხოვრობს დარდიანი,
ზოგი — ბედის გამართლებით!
ეს ქვეყანა ნარდი არის,
ჩვენ ვართ მისი კამათლები!
ერთმანეთის შევლაც ვიცით,
სროლა ნაირ კამათლებად,
ხან — ვმჩატდებით,
ხანაც — გვიმძიმს,
მაგრამ სული მაინც თბება!
ყველას გვიყვარს ჩვენი ბედი —
კამათლების დროზე მოხვლა!..
ერთმანეთს ნუ გავიმეტებთ,
ვითამაშოთ პატიოსნად!


რაჰვან ლორია



— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორია გამანადგურებელი კრიტიკა!..

ნახ. მ. აბაშიძისა

სიანჭოს ანჭოვლიან



სურათი: სურათი ივ. სანჯო, მხატვარი: მხატვარი



— ამ ფახების შიშით ავად ვეღარ გავმხდარვარი..

ნახ. 3. კუტიანი

სუპერ-სუპერ ტენიკონი

პაროდია

შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ, —
როცა ქარი ნანგრევების
მტვერს ზეცისკენ წაიღებს!..
შეჩერდება მოქალაქე,
მოსდის ელეთმეღეთი,
იტყვის: „აღბათ, დენთის სუნით
სუნთქავს მთელი ხმელეთი!“
„დეზერტირის“ ბაზრის კარებს
შეხსნის, ფიქრით გართული,
რომ იხილოს თავის თვალით
ხალხის ყვლეფა ქართული:
არიგებულ, ჩარიგებულ
დახლებსა და ყაფანზე
პროდუქტს ცეცხლი უკიდია,
რა გაუძლებს ამ ფახებს?!.
მარცხნივ ბზინავს ფორთოხალი,
მარჯვნივ — ვაშლის მთებიც,

ქორ-ვაჭარი ყმაწვილები
ბოძებს მიძყულებიან!..
იქ კი, სადაც დაკლულ ქათამს
მამასისხლად ვიდიან, —
შიმშილისგან დაზოცილი
წიწილები ჰკიდიან!..
„ეს ფურძენი სხვას არ სჯობდეს,
მამ, შემირცხვეს სახელი!“ —
ვერ იყიდი, იმ ფასს გეტყვის
ბიჭი კარდანახელი!..
„მერელი სულ არ ცდილობს,
შენს გულს დაეპატრონოს:
„ეს ასთუ ღირს, თუ არ გინდა,
ნუ იყიდი, ბატონო!“
სულგუნს აქებს ზუგდიდელი,
წითელ ატამს — ატენი!..
გამყიდველი მგელი გახდა,
ჩვენ — უმწეო ბატკნები!..

ოქროს ფასად იყიდება
გაქმცული მამალი!..
იყიდება ყველი, როგორც
უკვდავების წამალი!..
ვერ იყიდი ვერც ლობიოს,
ვერც ხორცსა და კარტოფილს!..
აქ ჭკუაზე შეიშლები,
წაგიყვანენ გათოკილს!
თვით მწვანისლაც ვერ იყიდის
გამრჯე კაცი, მშრომელი!
ხარობს ჯიბეგავსებული
ჩარჩი — ქვეშ-ქვეშ მშრომელი!..
შემოსულა შემოდგომა
დოვლათით და ბარაქით
და ცრემლსა ღვრის სიძვირისგან
მთელი თბილის-ქალაქი!..

ილო მუხაიშვილი

ბათონება უნდა გიხაროდეს და გიხარია კიდეც კაცს, მაგრამ სიხარულს რომ სიხარული დაემატება, ამას რა სჯობს?!

— ონკანში წყალი მოდის! — იყვირებ და გაახარებ ოჯახს. ჯერ კიდევე პირდაუბანელი გადაიხვდავ ფანჯრიდან და მანქანას რომ თავის ადგილზე დაინახავ, გული სიხარულით აგვესება! გაზქურასთან მიხვალ, გაპკრავ ასანთს და გაზქურა აინთება, წვერის გაპარსვა გინდა — ელექტროსაპარსს ჩართავ და აქაც გაიხარებ! ყველაფერი ეს, ერთად აღებული, თუ ბედმა გაგიღიმა, მართლაც დიდი ბედნიერება და სიხარულია! ღმერთს მაღლობას შესწირავ და გულში გაიფიქრებ: ნეტავ, ხვალინდელი დილაც ასეთი გამითენდესო! ამას ტელეფონის მუშაობაც თუ დაემატა, უკვე სიხარული კი არა, ფუფუნებაა! დარეკავ, სადაც გინდა, შენც დაირეკავენ, არავინ შეგაგინებს, არც შეაგინებს!..



სახლიდან გამოხვალ, ლიფტის ღილაკს თითს დააჭერ და ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი დაგივლის, — ლიფტი მუშაობს! მშვიდობიანად ჩახვალ პირველ სართულზე. გადიხარ ეზოში და რას ხედავ: ნაკვის მანქანას ნაკავი გააქვს, შენს ავტომობილს საბურავები, საქარე შინა, „კაპოტი“ და აკუმულატორი თავის ადგილზე აქვს — ამჩატიდები, სიხარულისაგან თითქოს ფრთები გამოგვსხა! ჯდება მანქანაში, აფეთქების ხმას ელოდები, მაგრამ გადარჩი, არ აფეთქებულხარ! სიხარული კულმინაციაში მიდის, ბენზინის მარევენებელი გიჩვენებს, რომ ბენზინი გაქვს, არ მოუპარავთ! სამსახურამდე ისე მიხვდები, არავინ დაგჯახებია!..

რა ბედნიერი ხარ, რა ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობ! ხარობ, ლაღობ!.. ლიფტს გვერდს უვლი და კიბეზე ადი-



ხარ, თან ფიქრობ: ცოტა ფეხითაც ხომ უნდა გაიარო, ჯანმრთელობისათვის კარგია! გააღებ შენი ოთახის კარს და ამას რას ხედავ! — ოთახი დალაგებულია, ტელეფონი, ტელევიზორი არ მოუპარავთ, სკამი და მაგიდაც თავის ადგილზეა!.. სამუშაო მაგიდაზე დაწყობილი ქაღალდები შეგახსენებს შენს სამსახურებრივ მოვალეობას და ტელეფონიც აწყრიალდება!..


ეკ, რა ბედნიერი კაცი ვიყავი, ტელეფონს რომ არ გავეღვიპებინე!..



უსიტყვოდ



— ახლაც მითხარით, რომელმა ჩამიდეთ ლიმონკა კიბეში?!



— შე კაცო, რა გაკმევს ამდენ პურს?
— ხვალ-ზევ რომ კიდევ გაძვირდეს?!

ნახ. ვ. კუციასვი

ქართული

- ლომად გახდომა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ლომად ყოფნა.
- დემოკრატიის დროშას ყველა აფრიალებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ დროშიდან ძალიან ბევრს მარტო ტარი რჩება.
- ზოგს თანამდებობა აფუჭებს, ზოგი კი — თანამდებობას.
- პატი უწყლოდ დაახლოებით ორ კვირას ცოცხლობს, უკმელოდ — ორმოც დღემდე, უფულოდ, შეიძლება, მთელი სიცოცხლე იყოს.
- ვინც თქვა, ინტელიგენცია ხალხის ტვინიაო, ტვინიანია, მაგრამ უტვინოა ის, ვინც ფიქრობს, რომ დანარჩენ ხალხს ტვინი არა აქვს.
- კბილების უქონლობა პასუხისმგებლობიდან არ გვათავისუფლებს — ენას პროთეზიც შეიძლება დააჭიროს!

- ცოლების გაშვებით კაცი თავის შეცდომებს კი არ ახწორებს, არამედ ამრავლებს.
- სხნამ ავადმყოფს ეტყოდე, — წამალი ჭამის წინ მიიღეო, — პკითხე, რამდენჯერ ჭამს დღეში?
- მოდი და, ნუ გაიკვირვებ, როცა ღორის ღორობა ზღვარდადებულია და ზოგიერთი ადამიანის ღორობას კი საზღვარი არა აქვს.
- ზოგი სამსახურში ზის და წუწუნებს, ხელფასზე ვზივარო.
- სიღარიბემ თუ ჭკუა არ გასწავლა, სიმდიდრემ შეიძლება მთლად გამოგატვინოს!
- მსოფლიოს ერებში ისე დაერივნენ ერთმანეთს, ალბათ, პლანეტაზე მალე მარტო გავრჩე დარჩება.

გიგლა ბახტაძე

მანეთი, კუპონი, ლარი!..



რაც დღეს სჭირს მანეთს რუსულსა, ის ჭირთა უფრო
ძნელია,
დღეს თუ სვალ აღარ იქნება, სოფელი ასრე მქმნელია;
რაღაა იგი მანეთი, რამაც მოგვწყვიტა წელია?!

მოეჭრათ ჩვენ ლარი ქართული, რას ვუცდით,
საკვირველია.

მთავრობამ ხალხსა მიმართა: „სხვა რა ვქნათ? საქმე
ძნელია,
სანამ ლარს შემოვიღებდეთ, მანეთი შესაცვლელია,
მასთან ჯერ კუპონს ვაბრძოლებთ, ვფიქრობთ,
მოსალოდნელია,


რომ მანეთს დასძლევს კუპონი, არსება მისი ვრამდენად
გულბრუნველია.
ვერ შეაჩერებს რეფორმას გარე თუ შინა შფოთვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი ვაჭარი და ხელოვანი;
მაშ, განიდევნოს მანეთი, შორს ჩვენგან მისი ცოდვანი,
სჯობს მანეთს, ესრეთ შერცხვენილს, კუპონი იმედოვანი!

ვა, ბაზარო, რაშიგან ხარ და რატომ ხარ ასე ძვირი?
შენს იმედზე დარჩენილ და გატყავებულ კაცზე ვტირი!
შენთან უკვე კაცი უფრო იაფია, ვიდრე ჩირი,
ლამის ღმერთმაც კი გასწიროს კაცი, შენგან განაწირო!

ირაკლი ბუხნიკაშვილი

20275

ნახ. ვ. კუციასი



— ეს კაცი რატომ ვაჭრობს ქუჩაში?
— ჩიხურში ვერ ეტევა და იმიტომ!

კ.

ბიულეტენი



— იცი, როცა მამაჩემი მთვრალი მოდის, კარების გაღებისთანავე ეცემა! — ეუბნება ერთი ბავშვი მეორეს.
— მერედა, დედაშენი ადგომაში არ ეხმარება?
— მაშინვე არა, ჯერ მამაჩემის თავზე დასხვრეული თეფშის ნატეხები უნდა აკრიფოს! — ნაღვლიანად ამთავრებს პირველი.

— ვველაფერი სიყვარულით იწყება! — ეუბნება ქმარი ცოლს.
— რა თქმა უნდა! ჩემი უბედურებაც ასე დაიწყო! — შენიშნავს ცოლი.

— შენ წარმოდგენა არა გაქვს ინტიმურ კავშირზე! — ეუბნება ვაჟი საცოლეს.
— რატომ მაღანაშაულებ?! განა მე ვთხოვ, ვველაფერი გახსოვდეს, რაც მოხდა ათი წლის წინათ?! — საყვედურით უპასუხებს საცოლე.

— ეს ბავშვი ხბოსავით ბღავის! — ეუბნება მეზობელი მეზობელს.
— დედამისი მკერდს უფრთხილდება, ბავშვი ძროხის რძეზე იზრდება და იმიტომ! — უპასუხებს მეზობელი.

ოვარ ტურაშვილი



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



საქართველოს კომუნისტური პარტია
11-12 (1886). ივნისი, გომლის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ზოლმანაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი
ბეჟან სინბარულიძე

სარედაქციო კოლეგია:
მურთაზ აბაშიძე, ქაბლა ამირეჯიბი, ნოშადი ბართაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მაღაზონია, რევაზ მიშველაძე, გივი პეტრიაშვილი, ალექსანდრე სამსონია, მიხეილ ქვლივიძე, ლერი ჩანტლაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფევიძე, ალექსი ტინჭარაული.


ტექნიკური რედაქტორი
გიორგი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 2. 08. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 09. 93 წ., ქალაქის ზომა 60x90¹/₂, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, სააღრიცხვო-სავამომცემლო თაბახი 1, საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, შეჯგ. № 1190. ტირაჟი 29000. ეურნალი გამომდის თვეში ორჯერ. ეურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606.

რედაქციის მისამართი:
280008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 49.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 91.55.54; მთავარი რედაქტორის მოადგილის — გენერალური დირექტორის — 93.19.42; მხატვარ-რედაქტორის — 99.02.38; განყოფილებათა გამგეების — 93.10.78, 93.49.32; მდივან-მეგისტრანის — 99-76-69. ინდექსი 76187

ფასი 30000 კპპ.



უსიტყვოდ

საზიკური ღირიკა

რამდენიც გინდა, მიუტევე — მტერი მტერია!
რამდენიც გინდა, გაანათლე — შტერი შტერია!
რამდენიც გინდა, გადაწმინდე — მტვერი მტვერია!
...კიდევ კარგი, რომ მშვენიერი, — როგორც არ უნდა გშურდეს მისი, — მშვენიერია!..
უზნეობას, სირცხვილს ცოტა ვინმე უფრთხის,
ახლა კი ვართ, ძმანო, მგონი, ღირსი ფურთხის!..
რამდენ ვინმეს, რამდენ ვინმეს ეჩვენება,
რომ ის არის საქართველოს გადამრჩენი,
რომ ქვეყანას მხოლოდ მისგან ეშველება — ცოტანი ვართ დანარჩენნი!..

თქვენზევე ღირსებას ფიქვეშ ნუ გაიგებთ, ერთურთზე გადავლით გზა არვის უკვალის თავისუფლებასაც ისე ნუ გაიგებთ, თქვან — ეს გეუი და თავისუფალა!

ახლა საქმე რაში არის, ყველამ სცანით დაე, კარგად: სწავლა გახლა ფასიანი და... მას ფასი დაეკარგა!

ვერ მივადწიეთ ერთობას, ყველას არ გვაკრთობს განგაში: ერთი ძმა „ბარში“ ერთობა, მეორე კი ზის სანგარში!

ბერლინის აღება მოგონილია, შვილო, ამასთან — პური ავიღე და ჩემი ბიჭობაც ახლა დაფასდა.

რომან შუბაკიშვილი
(საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარაძეული)

პირუ ლულია

1936 წლის
თებრი 1936

სამაგისტროსა მარ



93

— დელიკო. დიდი რომ გავიზრდები, მამა რძეს და ყველს ხომ მიყიდის?!